ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №6069408

ნომერი: AR1916483

თარიღი : 04.08.2022

გაცემის თარიღი : 05.08.2022

გაცნობის თარიღი : 08.08.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე ყიფშიძე პ/ნ 01030050369
- თბილისი მ.თოიძის ქ. N 18/7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად, მშენებლობის ერთ–ერთ სახეს წარმოადგენს დემონტაჟი, რაც სამსახურის მიერ შესაძლებელია შეთანხმებული იქნას მხოლოდ კანონიერ შენობა–ნაგებობებთან მიმართებით. უნებართვოდ შენობა–ნაგებობების აშენება კი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობას, რაც თავის მხრივ სამშენებლო სამართალდარღვევაა. სამშენებლო სამართალდარღვევის კონტროლი ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად. აღნიშნული კოდექსის მიხედვით, უნებართვო შენობა–ნაგებობების დემონტაჟი შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალური ინსპექციის მიერ მითითების გაცემით.

ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ხდება არსებული სარეკლამო აბრის, რომლის კანონიერებაც ვერ დგინდება, დემონტაჟი და ახლის მოწყობა, წარმოსადგენი გექნებათ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული მითითება და ამ მითითების საფუძველზე განხორციელებული დემონტაჟის შემდგომ გადაღებული ახალი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.

გარდა ამისა:

1. ვინაიდან ობიექტი მშენებარეა, წარმოსადგენია მიწის ნაკვეთის მესაკუთრის (დამკვეთის) თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.

2. იმ შემთხვევაში თუ საპროექტო სამუშაოები დაგეგმილია ინდივიდუალური საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართის ფასადზე წარმოადგინეთ ფართის ამონაწერი. ვინაიდან ობიექტი მშენებარეა წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ( დამკვეთის) სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ

მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ  შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.